2019 წლის 21 თებერვალს გაფორმებულ N15/3-92 ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

Ivane Goglidze
Подписано цифровой подписью: Ivane Goglidze
Дата: 2019.12.17 12:34:07 +03'00'

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N2

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, წარმოდგენილი მისი საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ლევან მღებრიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს “გსქ კულა“ (ს/კ 218083197), წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე გოგლიძის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2019 წლის 21 თებერვალს გაფორმებულ N15/3-92 ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე (განცხადების ნომერი CON180000071) დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი, „შემსყიდველის“ საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის მართვისა და დაგეგმვის განყოფილების 13/11/2019 წლის N3039706 პატაკის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

„შემსყიდველის“ საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის მართვისა და დაგეგმვის განყოფილების 13/11/2019 წლის N3039706 პატაკიდან ირკვევა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა საქვაბე კვებით შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის საჭიროა დარჩენილი მოსაწოდებელი საკვები პროდუქტების, ღირებულებით 1,249.00 ლარი, მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელება.

ვინაიდან, საბიუჯეტო წლის დასასრულს გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსური ოპერაციების წარმართვა, 2019 წლის 4 დეკემბრის მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის N04-02/131020 საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულების დაფინანსების წყარო განისაზღვროს 2019 და 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ეტაპობრივად ყოველი კონკრეტული საქონლის მიწოდებიდან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
5. წინამდებარე შეთანხმების ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ელექტრონულად, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.